სანოტარო აქტი

ორი ათას თორმეტი წლის თოთხმეტ მაისს მე, ნოტარიუსს ეკატერინე მარშანიას, ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისიმართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე, **ალექსანდრე გოგოხიამ** (შემდგომში „მიმნდობი"), რომელმაც განაცხადა, რომ **შპს "ვაკე პალზა"-ს** დირექტორი და წარმოადგინა **შპს "ვაკე პალზა"-ს** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 05/04/2012 19:40:07, განაცხადის რეგისტრაციის № B12046495, ს/კ 404869488 და **შპს "ვაკე პალზა"-ს** წესდება, რომლითაც დასტურდება, რომ **ალექსანდრე გოგოხია ნამდვილად არის შპს "ვაკე პალზა"-ს** დირექტორი და განაცხადა, რომ სურს **შპს "არტ X"-ისთვის** (ს/კ 202351383) უფლებამოსილების მინიჭება, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა **ალექსანდრე გოგოხიამ** (დაბადებული 27.01.1979წ. თბილისში, პასპორტი 05AA49177, პ/№ 01017001266, გაცემული 19.04.2006წ. იუსტიციის სამინისტროს მთაწმინდის სამსახურის მიერ, რეგისტრ: თბილისი, ი.ნიკოლაძის ქ. N 5 „ა"). მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა ეკატერინე მარშანიამ, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე, განვუმარტე **ალექსანდრე გოგოხიას** მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თორმეტი წლის თოთხმეტ მაისს **შპს "ვაკე პალზა"-ს** დირექტორმა **ალექსანდრე გოგოხიამ**, წინამდებარე მინდობილობით მოქ. **შპს "არტ X"-ს** (ს/კ 202351383), შემდგომში „მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **შპს "არტ X"** უფლებამოსილია **შპს "ვაკე პალზა"-ს (ს/ნ 404869488)**, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: 01.14.11.001.006, თავისი შეხედულებისამებრ აწარმოოს მშენებლობა, ყველა იმ უფლებით, რას საჭირო გახდება მშენებლობის პროცესში. ამასთან დაკავშირებით იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი ნებისმიერი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, საპროექტოში. მიიღოს მშენებლობის ნებართვა. **შპს "ვაკე პალზა"-ს** დირექტორის სახელით დადოს გასცეს ყველა სახის თანხმობა, ხელი მოაწეროს განცხადებებს, წარადგინოს შესაბამის ორგანიზაცია-დაწესებულებებში, შეასრულოს ამ დავალებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მოქმედება. აღნიშნული დავალების შესასრულებლად ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას.
2. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.
3. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში, თან ერთვის დანართი ორი დოკუმენტი:

1. **შპს "ვაკე პალზა"-ს** სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
2. **შპს "ვაკე პალზა"-ს** წესდება. (ასლი).

„მიმნდობი" გოგოხია ალექსანდრე

გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული №507-ე დადგენილების 31.7-ე მუხლის თანახმად 10.00 ლარი + დღგ 1.80 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 13.80 ლარი.

ნოტარიუსი *ეკატერინე მარშანია*

06.07.2012

მინდობილობა

შპს "არტ X" მისი დირექტორის რუსუდან ჩერგოლეიშვილის სახით უფლებას აძლევს თავის თანამშრომელს ლევან დოლიძეს წარმართოს თბილისის მერიაში საბუთებთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.

მინდობილობა ძალაშია 1 (ერთი) თვის ვადით.

რუსუდან ჩერგოლეიშვილი

დირექტორი

შპს "არტ X"